საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ივერი აბაშიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	14	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	14	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	0	5
ქულათა ჯამი	77	100

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ივერი აბაშიძის

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. ივერი აბაშიძეს კოლეგები ახასიათებენ, როგორც კორექტულ, სიმართლისმოყვარე, დისციპლინირებულ პიროვნებას. რეკომენდატორებიდან ერთ-ერთი მის ნაკლოვანებად მიიჩნევს, რომ კანდიდატი „ზედმეტად თავმდაბალია.“

კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, ივერი აბაშიძე პრინციპული, მტკიცე, შეუვალი და დამოუკიდებელი პიროვნებაა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ მას შესწევს კრიტიკული სიტუაციების მართვისა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. კოლეგების შეფასებით, კანდიდატი არ არის ტენდენციური მოსამართლე და პროცესის მონაწილეთა მიმართ არასდროს გამოხატავს წინასწარ კეთილგანწყობას. კანდიდატმა გასაუბრებაზე აღნიშნა, რომ სასამართლოს მენეჯერის პოზიციაზე ყოფნისას, როგორც საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს, რამდენიმე კონკურსანტთან დაკავშირებით ჰქონდა განსხვავებული აზრი და არ ერიდებოდა საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას. თუმცა გასაუბრების

ეტაპზე კანდიდატს სხვადასხვა შეკითხვაზე, მათ შორის სასამართლო სისტემაში არსებულ პრობლემებზე, კრიტიკული მოსაზრებები არ გამოუხატავს.

ივერი აბაშიძე არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი. ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, ივერი აბაშიძე თავაზიანი, გაწონასწორებული, კოლეგიალური და კორექტული პიროვნებაა. კოლეგების თანახმად, მას შესწევს უნარი მშვიდად მოუსმინოს სხვის აზრს და მართებულად განსაზღვროს სწორი ქცევის სტანდარტი. საჯარო მოსმენის პროცესზე, კანდიდატმა აღნიშნა, რომ ყოველთვის ცდილობს იყოს კორექტული და არ გაცდეს ეთიკის ფარგლებს როგორც კოლეგების, ასევე, სასამართლოს აპარატის თანამშრომლების მიმართ, რასაც ადასტურებენ მასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირებიც. კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ ივერი აბაშიძის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. იგი არ ყოფილა წარმოდგენილი სასამართლო დავაში მხარედ ან დაზარალებულად.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ივერი აბაშიძეს ახასიათებენ მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად. კოლეგები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი სარგებლობს პატივისცემით როგორც სასამართლო აპარატსა და კოლეგებში, ასევე, ზოგადად იურიდიულ წრეებში.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა.

ივერი აბაშიძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ იკვეთება კონკრეტული გარემოებები, რაც კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: კანდიდატმა საჯარო მოსმენისას ისაუბრა სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს არსზე, მის შემადგენელ და განმსაზღვრელ კრიტერიუმებზე, ბავშვის მშობლისგან განცალკევების საკითხის ზეპირი მოსმენის გარეშე სასამართლოს მიერ განხილვის საკანონმდებლო დანაწესსა და ამ საკითხის მიმართ მის პროფესიულ დამოკიდებულებაზე, მონობისა და წამების აკრძალვის უფლებების შინაარსზე. კანდიდატი არ იცნობს მედიაციის მიმართულებით ბოლო პერიოდის საკანონმდებლო ცვლილებებს. მიუხედავად იმისა, რომ ივერი აბაშიძემ დაასახელა როგორც უზენაესი სასამართლოს რამდენიმე პრეცედენტული, ასევე, ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებები, კანდიდატმა სრულყოფილად ვერ განმარტა უფლების მოქმედების ფარგლები და მისი შეზღუდვის სამართლებრივი წინაპირობები.

კანდიდატი მოქმედი მოსამართლეა და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. მან წარმოადგინა მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომელთა გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს. საჯარო მოსმენის პროცესიდან ირკვევა, რომ მართალია კანდიდატი ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებსა და ეროვნულ თუ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას, თუმცა ამას სისტემური და სრულფასოვანი ხასიათი არ აქვს.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. მისი გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება. ივერი აბაშიძის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელი შეადგენს 75,8%-ს.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა იმსჯელა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ სამართლებრივ შეკითხვას კანდიდატმა სრული და ამომწურავი პასუხი გასცა, მისი მსჯელობა რიგ შემთხვევებში არ იყო დამაკმაყოფილებელი (მაგალითად, კანდიდატმა ვერ იმსჯელა სიტუაციურ კაზუსზე, რომელიც მოიცავდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საკითხებს).

წერის უნარი: კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ ივერი აბაშიძე აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, სამართლებრივ დოკუმენტებს არ ტვირთავს არამიზნობრივი და შაბლონური მსჯელობით. რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატს აქვს კარგი და სტრუქტურირებული წერის მანერა, წერის პროცესში ავლენს განვითარებული მსჯელობის ლოგიკურად და ლაკონურად გადმოცემის უნარს. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ივერი აბაშიძის მიერ მომზადებული პროცესუალური დოკუმენტები გამოირჩეოდა ლაკონიურობითა და თანმიმდევრულობით, ფაქტების ზუსტი და სწორი შეფასებით. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილებების გარდა კანდიდატს არ წარმოუდგენია სხვა სახის სამართლებრივი ნაშრომი (სტატია, მონოგრაფია), რაც მომცემდა შესაძლებლობას უკეთ შემეფასებინა სამართლებრივ წყაროებთან კანდიდატის მუშაობის კულტურა.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი: კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი კომუნიკაციისა და გამართულად მეტყველების უნარი. კანდიდატს შეუძლია სხვისი განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენა. კანდიდატი საუბრობს მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოცემს ნათლად და მკაფიოდ. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ ივერი აბაშიძე საუბრისას არის ლოგიკური, თანმიმდევრული, მშვიდი და გაწონასწორებული.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ივერი აბაშიძეს ახასიათებენ, როგორც პუნქტუალურ, ეთიკურ და დისციპლინირებულ პიროვნებას, რომელსაც გააჩნია ანალიტიკური, დამოუკიდებელი აზროვნებისა და სტრესული სიტუაციების მართვის უნარი. ამასთან, ივერი აბაშიძის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქმეთა განხილვის მაჩვენებელი 98.1%-ს, ხოლო გადაწყვეტილების მომზადების მაჩვენებელი 100%-ს აღწევს, რაც მიუთითებს მის პუნქტუალურობასა და დისციპლინურობაზე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ივერი აბაშიძეს საანგარიშო პერიოდში (1020 დღე) დასრულებული აქვს 1267 საქმე, დღეში საშუალოდ 1 საქმემდე, რაც მიუთითებს კანდიდატის შრომისმოყვარეობასა და დროის სწორად დაგეგმვის უნარზე. ერთ-ერთი რეკომენდატორის მითითებით, კანდიდატი კარგად ფლობს მენეჯერულ უნარ-ჩვევებს, რაც მას გამოუმუშავდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში მენეჯერის პოზიციაზე მუშაობისას.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ

არაერთ ღონისძიებაში, მათ შორისაა სემინარები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების, საერთაშორისო შრომითი სტანდარტებისა და საქართველოს შრომის კოდექსის, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხების, ბავშვის უფლებების კოდექსის შესახებ. ამასთან, კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული კონფერენციაში, რომელიც შეეხებოდა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის სტანდარტებს აშშ-სა და საქართველოში.

ივერი აბაშიძე იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის XIII ჯგუფის მსმენელი (2017წ.), მან იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა 91-ე ადგილი.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ან სხვა სახის პროფესიულ აქტივობას.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. ივერი აბაშიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 77 ქულით, კერძოდ:
   2.1. სამართლის ნორმების ცოდნა - 14 ქულა;
   2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 14 ქულა;
   2.3. წერის უნარი - 17 ქულა:
   2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 14 ქულა;
   2.5. პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში - 14 ქულა;
   2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 4 ქულა;
   2.7. პროფესიული აქტივობა - 0 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.2021